

დღეობა

„ფევაგდი, ბურჯა ქვეყანაქ
იღზინე, ქართველთ შხარეო,
და შენც, ქართველთ სწავიღმთა
სამშობლო ვაახარეო!“



XIV

ბიორბი სვურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ჩვენო სიამაყე, ძვირფასო ოქტომბრელებო!

ისე, როგორც ყოველი დღე იწყება დილით, — ყველა
საზოგადოებაც იწყება ბავშვებით.

ისე, როგორც კარგ დიღას კარგი დღე მოჰყვება, —
კარგ ბავშვებსაც კარგი საზოგადოება მოჰყვება.

ჩვენი საბჭოთა საზოგადოება ყველაზე კარგი და მო-
წინავე საზოგადოებაა სხვა საზოგადოებათა შორის და
ამიტომ, რომ ჩვენი ოქტომბრელებიც ყველაზე კარგი და
მოწინავე ბავშვები არიან სხვა ბავშვთა შორის.

ცნობილია, რომ ყველას სურს ძლიერი იყოს, მაგრამ
ყველამ არ იცის, რაშია ძალა. ძალა კი ცოდნა-განათ-
ლებითაა.

სიყვარული შრომისადმი და ფრიადზე სწავლა, — აი
უტყუარი გზა ცოდნა-განათლებისაკენ.

შეიარაღდით ცოდნა-განათლებით და ერთგულად ემსა-
ხურეთ ხალხს და ჩვენს საყვარელ სამშობლოს!

ამას მოითხოვს ოქტომბრელებისაგან ჩვენი საყვა-
რელი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი.



3. ვახლივის ნახატიდან
ვ. ი. ლენინი და ი. ს. სტალინი

შვიდი ნოემბრის დღია


მიყვარს მე ჩვენი დროშები,
მალღობზე ამოფრენილი,
შრიდა ფრთებზე შუქივით
ამოქარგული ლენინი.

მიყვარს მე დიდი ნათელი
შვიდი ნოემბრის დღისა,
გამარჯვებული ამოსვდა
მზის, როგორც ავთანდილისა.

მიყვარს მე ჩვენი სიმღერა,
ზღვასავით მრავალმოვანი,
თან ახდავს მთების გუგუნის,
ღალი და ძადგულოვანი.

წინ მიუძღვება სტალინი—
გამარჯვებათა ბედადი,
ფოთლების ტაშით შრიადებს
ნადკოტი ფერად-ფერადი.

ქარლო კალაძე



ჩვენი საბჭოთა ქვეყანა 30 წლისაა

ბევრი სახელმწიფოა ქვეყნიერებაზე საბჭოთა კავშირის გარდა. ზოგ მათგანს, ისე, როგორც ძველ დროში, შეფეები მართავენ, სხვები თავიანთ სახელმწიფოებს რესპუბლიკებს უწოდებენ. მაგრამ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ერთი ძირითადი კანონი არსებობს: ხალხი გაყოფილია ორ არათანაბარ ნაწილად: ერთ ნაწილს წარმოადგენს უმცირესობა, რომელიც ფლობს მთელს სიმდიდრეს და, ცხადია, ხელისუფლებასაც, მეორეს კი—უდიდესი ნაწილი—უფლებაყრდილი უბრალო ხალხი, რომელსაც არ გააჩნია არაფერი: არც სიმდიდრე და ცხადია, არც ხელისუფლება. მათი შრომით მდიდრდებიან ისინი, ვისაც ხელთ უპყრია ხელისუფლება.

ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ისევე განსხვავდება კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან, როგორც სინათლე სიბნელისაგან, როგორც დღე ღამისაგან. ჩვენს ხელისუფლებას საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება. ეს იმითომ, რომ ჩვენს ქვეყანას მართავენ მშრომელთა დემოკრატიის საბჭოები. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა. მისი შექმნის პირველსავე დღიდან ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს მშრომელ ხალხს ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის დამყარებისათვის. ჩვენი ქვეყანა ყოველდღიურად უფრო ძლიერი და მდიდარი ხდება.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩვენს ქვეყანაში იქნა მოსპობილი ნაციონალური შტელი. უბევი თუ ყირგიზი, სომეხი თუ თათარი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ჩვენში, ისევე, როგორც რუსი, უკრაინელი, ბელარუსი და ქართველი. ჩვენში ყველა ხალხი ერთიან ძმურ ოჯახში ცხოვრობს. აი იმითომ არის ჩვენი ქვეყანა ასეთი ძლიერი, აი რატომ უყვარს იგი ჩვენს ხალხს.

თავდადებულად აშენებდა ჩვენი ხალხი თავის მშობლიურ საბჭოთა სახელმწიფოს, თავგანწირულად იცავდა მას სამოქალაქო და სამამულო ომებში, გმირულად შრომობს იგი ახლა ქარხნებსა და საკომლექსურ ნაგებობებში თავისი საბჭოთა სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

ქვეყნიერებაზე ბევრი ხალხია, ქვეყნიერებაზე ბევრი სახელმწიფოა, მაგრამ დღეს მშრომელ ხალხებს უყვართ მხოლოდ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ერთადერთი საბჭოთა სახელმწიფო. ზანჯის ბიჭუნაც კი შორეული აფრიკის სოფლიდან, რომელსაც არასოდეს არა სჭერია ხელში წიგნი, რომელმაც არ იცის თავისი ქვეყნის ქალაქების სახელები, კარგად იცის საქვეყნოდ ცნობილი ოთხი სიტყვა: საბჭოთა კავშირი, ლენინი და სტალინი. და ეს იმითომ, რომ ამ ოთხ სიტყვაში გაერთიანებულია ის, რაზედაც საუბრეების განმავლობაში ოცნებობდა კაცობრიობა, რაზედაც ახლაც ოცნებობს კაპიტალისტური ქვეყნების ჩაგრული ხალხი.

30 წლისაა ჩვენი მშობლიური ქვეყანა. დაე იდიდოს და იღლეგრძელოს მან მსოფლიოს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ!

ღაპირთ ბაქრაძე

საბჭოთა კავშირის გმირი

პარტიზანის მოგონება

(როგორ ვიხეივით ოქტომბრის დღესასწაული)

ბავშვებო! ქვეშოდ მოთავსებული ამბის ავტორი, საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე, დიდი სამამულო ომის დროს გერმანელთა წინააღმდეგ იბრძოდა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირ, გენერალ-მაიორ ს. ა. კოვპაკის პარტიზანულ რაზმში, რაზმში მტრის ზურგში დაჰყო ორნახევარ წელიწადზე მეტხანს და ბრძოლით გაიარა ოცდაერთი ათასიკილომეტრი.

სამამულო ომის დროს 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 25 წლის თავზე, ჩვენი პარტიზანული რაზმი იდგა იმ ადგილას, სადაც მდინარე სოფი დნებარს უერთდებოდა (უკრაინის და ბელორუსიის საზღვარზე). იქ დილით რადიოთი მოვისმინეთ დიდი ბელადის **სტალინის** ამბულეცებელი და ბრძნული სიტყვა.

ყველას გვინდოდა დიდი მხიარულებით გვეხეიმა ოქტომბრის დღესასწაული, მაგრამ მდგომარეობა ამის საშუალებას არ გვაძლევდა.

სოფა-დნებარის შესართავთან მდებარე პატარა დაბის ლოვეის ასაღებად, ჩვენი რაზმის უფროსის კოვპაკის განკარგულებით გაიგზავნა რამდენიმე ასეული, მაგრამ სანამ ეს რაზმი დანიშნულების ადგილს მიაღწევდა, ჩვენს ნებერაევებს უკვე მოესწროთ ქალაქის დაკავება.

მეტად გაძნელდა მდინარე დნებარზე გადასვლა, რადგან მხოლოდ ნაევებით და ბორნით შეგვეძლო მდინარის გადაღლება. იმავე დროს დნებარის ნაპირს საბუროვის პარტიზანთა რაზმიც მოადგა, იგი კოვპაკთან ერთად უკრაინის ჩრდილოეთ ნაწილიდან მის დასაველით

ნაწილში მიდიოდა. დრო არ ითმენდა, ძნელი იყო სამი ნავით და ერთი ბორნით მოგვესწრო მთელი ჩვენი ცოცხალი ძალის გადაყვანა და იარაღის გადატანა; ამიტომ იძულებული ვაგზნდით ცხენები, მსხვილფეხა საქონელი და ნაწილობრივ მებრძოლებიც მდინარეში გადაგვეშვა და ცურვით გაგვეყვანა. ამ საქმეს სამი დღე და ღამე მოუყნდით.

ამ მდგომარეობით ისარგებლა მტერმა და ჯავშნიანი და საბარგო მანქანებით დნებარის ნაპირს ჯარი მოაყარა. გაჩაღდა ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი ბრძოლა.

დიდი ბელადის სიტყვებით აღფრთოვანებული ჩვენი რაზმელები ვეფხვებივით იბრძოდნენ. ტყვიამფრქვევებით და ჯავშანმძლევი იარაღით მოგსპით მტრის ნაწილები. 25 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ წამოვიყვანეთ. ნადავლიც წამოვიღეთ.

ნოემბრის შუა რიცხვებში, საღამოთი, ლოვეში ჩავატარეთ ოქტომბრის დღესასწაულისადმი ზიძენილი საზეიმო მიტინგი. ამ მიტინგზე მებრძოლებმა ფიცი დასდეს, რომ კვლავაც თავგამოდებით იბრძოლებენ ჩვენი საყვარელი სამშობლოს დასაცავად.



ვემსახურები საბჭოთა კავშირს!*)

(სადგავი მიხალკოვიძან)



დიდავის ორდენი

მებრძოდ შოთა ჭაფარიძეს
ბრძოლა მტკიცედ შეუძლია,
მას ოცნებად გადაეჭვა
ბერდინამდე მიელწია!

აისრულა საწადელი,
მტერი მასთან ვერას გახდა.
ყოველისშემძლე ავტომატით
მიიღწია რაიხსტაგთან.

მისი ცეცხლით, მისი ტყვიით
მტრის სიმაგრე გადაიწვია
და ამიტომ ეს ორდენი
მას სარდლობამ ჭიდლოდ მისცა.

ნოთელი ვახაჟაძის ორდენი

ირგვლივ კვამლი, ყველგან ცეცხლი,
სადღაც ისმის „ვაჟას“ ხმები.
მიიჩქარის სანგრებისკენ,
ეძახიან დაჭირებუნი.

ეს ქეთოა ჭაფარიძე
მედიციის და, მზრუნველი,
ყველასათვის მეგობარი,
ყველასათვის სანატრელი.

მისი ზრუნვა და ამაგი
სამშობლომ არ დაივიწყა
და ამიტომ ეს ორდენი
მას სარდლობამ ჭიდლოდ მისცა.

*) დასაწყისი იხ. „დილა“ № 10



„საპატრიოტუნის“ ორდენი

კავკასიის მისაღვომთან
ფრონტზე შედგა ორთქმავალი
მეომრები გადმოვიდნენ,
საბრძოლველად მიმავალნი...

ღიალ, თამაზ ჭაფარიძემ
ფრონტზე ჭარი მიიყვანა.
მას მანქანის მტკიცე საჭე
კომკავშირმა ჩააბარა.

მას დაჰყავდა ეშელონი,
სდარაჯობდა მშობელ მიწას
და ამიტომ ეს ორდენი
მას მთავრობამ ჭიდლოდ მისცა.

მედალი „გამამოგისათვის“

გერმანელთა ზარბაზნების
ცეცხლქვეშ, როცა სწვიმდა ტყვია,
იღგა ვანო ჭაფარიძე
და წარბიყ არ შეუხრია.

მტკიცედ იღგა ტელეფონთან,
იგი არსად არ წასუდა;
ბიჭიყ კი არ მოუყვლია,
მტერს ებრძოდა მამაცურად.

მეკავშირე ბოდშევიკი
სდარაჯობდა მშობელ მიწას
და ამიტომ ეს მედალი
მას სარდლობამ ჭიდლოდ მისცა.



მედილი „შრომითი ნაჩინებისათვის“

ხოლო მზია ჯაფარიძე
არის მთელი სოფლის თვალი,
კომბაინს და ტრაქტორს მართავს
ჯერ ოცი წლის არც კი არი.
ვისაც ჰკითხო, ყველამ იცის,
სტახანოვედ ქალთა შორის
რომ ტრაქტორისტ ჯაფარიძეს
სოფლად არეინ არ ჰყავს სწორი.
ის მუდამღლე დასტრიალებს,
თავს ევლება მშობედ მიწას
და ამიტომ ეს მედალი
მას მთავრობამ ჯიღიოდ მისცა.

* * *

ხოლო სერგო, უმცროსი ძმა,
ჯერ პატარა ბიჭი არი.
ჯერ მისთვის არ მიუციათ
არც ორდენი, არც მედალი.
სურს ხარატი გამოვიდეს,
დაეუფლოს საქმეს სრულად.
საჭრეთელი გამოჩინა,
დავადება შეასრულა.
ჩარხზე სწავლობს ოსტატობას,
შეიყვარა საქმე მისი.
დავაცადოთ, გაიზარდოს
ისიც გახდეს ჯიღოს ღირსი.



«მამიკი ღირსი» ოკრები

ამ ორგენს კი სასახელოდ
გმირი ღედა დაატარებს.
ღიღება მას, ღიღება მას,
ვინც შვილს უბრდის მშობედ მხარეს!

ბევრი შვილი გამობარდა,
დაიღაცოს ღეღის გული!
მან ნორჩ გულებს ჩაუწერგა
მშობედ ქვეყნის სიყვარული,
რომ წმინდაა ჩვენი მიწა,
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი
თუ საჭირო იყოს, მოკვედეს
მისთვის, როგორც მელმარი.

მხოლოდ ხადხის ღიღებისთვის,
სიმართლისთვის გაისარჯოს.
ასე ამბობს გმირი ღედა.
ჩვენს გმირ ღედას გაუმარჯოს!



ქუთაისის საავტომობილო


ბავშვებო, გეცოდინებათ, რომ საქართველოში ჯერ არა გვექონია ისეთი ქარხანა, სადაც ავტომობილებს აგებდნენ.

ახლა კი ქალაქ ქუთაისის მახლობლად შენდება უდიდესი საავტომობილო ქარხანა; მაღლაკის ველზე მრავალს ახალ, თვალწუწდენ შენობას დაინახაეთ. სულ ორი წელიწადია, რაც იქ მშენებლობა დაიწყო, ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა მშენებლებმა: მუ-

შემა, ინიერებმა, ხუროთმოძღვრებმა, ტექნიკოსებმა აღფრთოვანებით დაიწყეს საამქროებისა და საცხოვრებელი ბინების აგება.

ვაიყვანეს საავტომობილო გზები და ელექტროსინათლე.

ზოგიერთ საამქროში უკვე გამართულია დაზგები, და ხანშიშესული გამოცდილი მუშების გვერდით მდგომი შეგირდები—ხარატები, ზეინკლები, მლარაეები უკვე ამზადე-




ამობილო ქარხანა

ბუნ მანქანების ნაწილებს. ისინი თვითონი საქმის პატარა ოსტატები არიან. ბევრმა მათგანმა უფროსების ქება დაიმსახურა. მრავალმა ახალგაზრდამ ოსტატობა ისწავლა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე საავტომობილო ქარხნებში (ქალაქ მოსკოვის და გორკის ქარხნებში) და კოდნით აღჭურვილი დაბრუნდა კიდეც.

ასე რომ სულ მალე იქ მთელი ახალი,

სოციალისტური ქალაქი გაშენდება—ჩრდილუხვი ხეებით დაბურული და ხეივანი, მოასფალტირებული ქუჩებით დაშვინებული. ქუთაისის ქარხნიდან გამოსული პირველი ქართული ავტომობილები ჩვენი ლამაზი სამშობლოს ველმინდვრებს და მთებს გადაიქროლებენ.

მაცხალა მრავალი
ნახატი შალვა ცხადიძისა



ქართული ავტომობილი

ავეწმ მიქქის ქალაქგარეთ

ეს რა დილა გაგვიტენდა, მიქო, როგორ გავგახარეს: უკან რჩება ქუთაისი, ავტო მიქქის ქალაქგარეთ...

ქვიცივებენ ჩიტუნები, მზემ ლაყვარდი ააყვავა. მიგვაქროლებს ძია სანდრო ავტო-ქარხნის სანახავად.

გავიარეთ თეთრი ხიდი, მერცხლებივით ავუქკეკდით. გავუხვიეთ მალლაკისკენ და კვლავ ხიდი დაგვებდა მყისვე.

ფეხს მიწაზე არ ვაკარებთ, ავტო მიქქის ქალაქგარეთ.

გავგიბრწყინდა ყველას სახე და სიმღერაც შემოვძახეთ.

მაგრამ ნეტა რამ უმუხთლა, სულა რომ ასე შეანელა: აბუბუყდა, ათუბთუბდა, და მანქანა შედგა ველად.

ტრიალ ველზე, მარტოდ-მარტო შუა გზაში იდგა ავტო. წარბი შეჰკრა და მანქანას დააქკერდა ძია სანდრო.

მანქანა კი ერთხელ კიდევ ათუბთუბდა, დაიკენესა, ძიამ ხელი ჩაიქნია: — ფუ, გამჟღელე გავიწყუნეს!

ძ ი ა ს ა ნ დ რ ი

გთხოვთ იცნობდეთ ძია სანდროს, მის საქმეებს და მის ავტოს. ოთხ წელიწადს მტერს მუსრავდა ჩვენი კარგი ძია სანდრო.

ბევრი, ბევრი ყაჩაღისთვის შავად გაუთუნებია, მედლებით და ორდენებით მკერდი დაუშვეწენებია.

ერთხელ თორმე ბრძოლის შემდეგ, ზედ ბერლინის მისასვლელთან, გენერალმა ძია სანდრო შეაქო და ვერცხლის მედალს სამახსოვროდ მიაყოლა გერმანული ავტოც ზედა.

ახლა იცნობთ ძია სანდროს, მის საქმეებს, მაგრამ ავტოს უნდა ერთიც დავუმატოთ — ფირმა უნდა განვიმარტოთ.

ნუ იტყვიან და სადაც ავტოს გაჩენქვია ცხვირის წვერი, სადაც სანდროს საღებავი ზედ წაუსვამს მუქი ფერი, იქ ეწერა გერმანულად, მედიდურად „ფიურერი“.

ეს, რას აღარ მოვიგონებს კულაბზიკა გერმანელი: ეს „ვეფხვიო“, ის „ავაზა“, „ფერდინანდი“, „ფიურერი“...

მაგრამ იცით, არ გეგონოთ, სახელს უკან რამე იყო; გავიხსენებ აი თუნდაც მე იმ ხალათს ამერიკულს: შარშან იყო, გავრცეებთ და გადავკიდეთ ღამე რიკულს, დილით ენახეთ, აბრეშუმში სულ ქალაღი გამხდარიყო...

პოდა ასე „ფიურიერიც“
მანქანაა გახსნა სანდო!
უკირკიტა ძია სანდრომ
და ვერ დასძრა მაინც ავტო.

და, ჰა, უცებ გავიხედეთ:
შორს შარავზას ბოლა ასდრს
და გუგუნით ახლოვდება
საბჭოური გოლიათი.

გ ზ ა მ ი

დაგვაიწყუდა განსაცდელი,
ავტო მოქერის ახლა ისე,
ჩამოვხედით გრძელ ფიტრებზე
და გავხედეთ მალაიკისკენ;

მარჯვნივ ველი, მარცხნივ ველი,
მოვირდილეთ ყველამ ხელი.
ნუ იტყვი და გვითვალთვალენ
თურმე ძია ინჟინერი;

თურმე ძია ინჟინერი,
მშენებელი ავტოქარხნის,
ჩვენს მხარდამხარ ზის და გვისმენს
მზით დამწვარი მტკიცე სახით.

გვეუბნება: „ყოჩაღ! ყოჩაღ!
მომეწონეთ, პატარებო,
ამიტომაც მთელ ქაჩხანას
თვითონ შემოგატარებთო“.

მყის მადლობა მივაგებეთ
და გავებით საუბარი.

ქარხნის ხე-ტყით დატვირთული
ჩვენს მახლობლად დგება ავტო,
ილიმება მემანქანე:
— გამარჯვება, ძმავო სანდრო!
რაღა ბევრი გავაგრძელო,
მგზავრობა გვაქვს მშენიერი;
მივეგუგუნებთ მაღლაკისკენ
მძიმე „ზისით“ — ჰერი! ჰერი!
და მოგორავს უკან ჯაჭვზე
გამომძული „ფურერი“.

აჰა, ქარხნის ხარაჩოებს
მზე მიადგა სანუკვარი.
მარცხნივ ველი, მარჯვნივ ველი,
პყვება ძია ინჟინერი:
„პატარებო, ჩვენს საბჭოთა
ქვეყანაში ასე ხდება:
ამ მინდოროზე ათასობით
კობტა სახლი აშენდება:
სახლებს მშენებელი კარმიდამო
და ბოსტნებიც დაშენდება,
ისე ფართო კარმიდამო,
რომ შიგ ცხენიც გაჰყვდება.
ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში,
პატარებო, ასე ხდება:
იმ სახლებში ჩვენი ქარხნის
მუშა-ხალხი ჩასახლება“.

აჰა, მაღალ ხარაჩოებს
მზე მიადგა სანუკვარი.
ექსკურსია მობრძანდება —
გამოაღეთ ქარხნის კარი!

ქარხნის თუ ქარხანა?

დიდი კარი გაგვიღეს —
ქარხნის ნახვას ველით.
— აი ესეც ქარხანა! —
ამბობს ინჟინერი.

ალაგ — ხარაჩოები,
ალაგ — შენობები.
გაკვირვებით ვუცქერი
ერთუროს მეგობრები.

თუმცა მკაცრი გუშაგი
ჩვენ გვიწოდებს ბავშვებს
და საჭიროდ არა სთვლის
ბავშვებისთვის საშუალებას,
არც ისეთი პატარა ვარ,
რომ მოგტყუვდეს უცებ —
ქარხანაში რა უნდა
მოედნება და ქუჩებს?





— დიას! დიას! — იცინის
ინჟინერი ძია, —
სწორედ ქალაქს ვაწვინებთ,
თუმც ქარხანა ჰქვია!

მოჭრის ავტო, მოჭრის ავტო, —
კირს და ავტოს დააქროლებს.
მთელი კვირაც რომ იარო,
განა დასთვლი საამქროებს?

რ ე ბ რ უ ნ ე ბ ე

მოჭრის ავტო, მოჭრის, ავტო,
კირს და ხე-ტყეს დააქროლებს.
მთელი კვირაც რომ იარო,
ვერ მოივლი საამქროებს.
მზის ჩასვლისას გაგვატყენდა
სამაისო ქუთაისი.
ქალაქისკენ მიმავალი
მოგრიალდა უცბად „ზისი“.
ინჟინერმა გვითხრა ასე,
შეგირდებამე გვითხრეს ასე:
— წრეულს არა, მაგრამ მერმისს,
თუ გვნახავთ და დაგვაფასებთ,
მთელს იმერეთს დაგატარებთ:
ან სხვა ავტო რაოდ გვინდა.
შინ გაგვზავნით ჩვენი ქარხნის
გამომუშებულ მანქანითა...

მე კი, — გვითხრა ძია სანდრომ, —
ხვალ ჩამოვალ, სწორედ ამ დროს.
ამ ჩემს ავტოს ვერც ვანდობ,
ვერ დაეტოვებ მარტოდ-მარტო.

და კიდევ რომ დაითვლო,
დაიხსომებ ყველას განა?
აი დაზგა დაზგას მისდევს
და ყველანი მწყრივში ღვანან.
ეს სატვიდრო საამქროა,
აქ ათასგვარ ყალიბს სჭედენ,
რომ მანქანის ნაწილები
ჩამოასხან ამის შემდეგ.

აი კიდევ სხვა საამქრო, —
ბრიგადირთან ვმასლაათობთ.

სამოცი წლის კაცი არი,
ფოლადით ჩამოსხმული;
ამბობს: „გოჯის სახელობის
ქარხნიდან ვარ ჩამოსული,
მოსკოვიდან ვამომგზავნენს,
გამოცდილი კაცი ხარო,
უნდა ქართულ ავტოს ოსტატს
ჩემი ცოდნა მივახმარო“.

კვლავ საამქრო, სხვა საამქრო,
დაიხსომებ ყველას განა!
ახალგაზრდა შეგირდები
დიდ უროსთან მწყობრში ღვანან.
ურო თვითონ აღიშარათა,
არ სკოროდებთ კაცის ბელი,
რკინის ძელი მოაქვს შეგირდს,
ზედ აღმუხრი ასდის ცხელი.
ურტყამს ურო ტონაიში,
ნაერწყალი სცვივა ლითონს
და ასანთის ღერებზევით
სკრის და ისერის თითო-თითოდ.

იგი ჩემთვის სულ სხვას ნიშნავს:
განა მარტო ავტო არის,
საბუთია, — გერმანულზე
გამარჯვების სახსოვარი!

მოჭრის ავტო ქალაქისკენ,
ხეივანები დაგვზარიაან;
გაკვირებით რომ დაგვექერის,
ეს ბაგრატის ტაძარია,
აღმათ, უყვირს ბებერ ტაძარს
მალაქისკენ დანახული:
ვარსკვლავების დიდი შუქი
და ქურების თქირა-თქური...

გამარჯვება ქუთაისო!
რა ცის ფერი საღამოა!
ძველი, შავი ქუთაისი
არასოდეს აღარ მოვა,
რა დღესავით საღამოა,
რა ცისფერი საღამოა!

მარგარეტ ლანდინი

ნახატები შალვა ცხადაძისა



ხ ბ ო

სადამოუდებოდა. სატვირთო მანქანა სამკორის ველზე მიჰქროდა.

ბესიკო მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. მანქანის ძარში რბილ ნამუხაზე იჯდა. უეცრად მუქვის ძირად რღაცას მოჰკრა თვალი. კაბინის სასურავს დაუბრახუნა. მანქანა შეჩერდა. გადმოვიდნენ.

მუქვის ძირში დავარდნილი ხბო იწვა. სოფელი კი არსად სჩანდა.

— აფსწოთ, დავდოთ მანქანასე,— შეესვენა ბესიკო შოფერს.

— გაუძვი, იოს,— სთქვა შოფერმა.

— ღამდება, მკელი შესჭამს.

— მართალია, მაგრამ შენი ხბო არ არის, რად სწუსარ?

— იქნებ ჩემი შესობლისაა.

— თუ არც შესობლისაა?

— მაშინ იქნებ ჩვენი კოლმეურნეობისაა?

— თუ არც ჩვენი კოლმეურნეობისაა?

— ჩვენი საღისისა ხბო არის! მკელმა რად უნდა შესჭამოს?

ასეა აღარა ეთქმოდარა შოფერს. ასწიყს, მანქანის ძარში ნამუხაზე დასვეს. შინ მიიკვანეს.

ხბომ დაისვენა. ეზოსა და კალოზე დანავარდობდა. ბესიკომ მიაკითხა შესობლებს და მასლობელ სოფლებს. ჰატრონი არა სჩანდა. ბოლოს, ხბოს ჰატრონის აღმოსაჩენად ბესიკომ ასეთ ხერხს მიმართა: ჰატარა წერილი დაწერა და თავისი რაიონის გაზეთის გაუკვანა.

„პიკოვნათ ხბო“

მე და შოფერმა სამკორის ველზე დავარდნილი ხბო ვიპოვეთ. სულ წითელია, ნიკორა და საფურე. ხბო ახლა კარგად არის. ჰატრონს ვთხოვთ წაიკვანოს.“

ბესიკო

ბესიკოს წერილი გაზეთის რედაქტორმა დასტამბა.

ბოლის ჩხიძე

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა



ბუტიას კერძი ტკბილია...

დედამ საუზმის შემდეგ ლურჯ ქილას თავი მოხსნა, კაკლის მურაბა ამოიღო და ბავშვებს გაუნაწილა.

— ახლა ამით ჩაიკოკლოზინეთ პირი, ჩემო პატარებო. და მერე სათამაშოდ წადით — სთქვა სიყვარულით მან და ოთახიდან გასვლა დააპირა.

მაგრამ ისევ შეჩერდა. პატარა, ცელქი და ჯიუტი ნიკო დაბლვერილი იჯდა და წარბებსქვემოდან თვალიერებდა და-ძმის ლამბაქებს.

— ნიკო რატომ არა სჭამ? — შეეკითხა დედა.

— აბა, შეხედე, ვანოს რა დიდი კაკლები შეხვდა! — ჩაიბუზღუნა ნიკომ. თავის ლამბაქს ხელი ჰკრა. მურაბის წვენი კინალამ სუფთა სუფრაზე დაღვარა, სკამიდან გადახტა და ოთახის კუთხეში თავჩალუნული

დაჯდა. — გუშინაც ვანოს მეტი მიეცია... ნინოსაც... მე ყოველთვის ცოტა მხვდება — ბუზღუნებდა ნიკო:

ოთახში მამა შევიდა. კუთხეში დაბლვერილი ნიკო დაინახა, მაგრამ თვალი ააჩიდა ვითომ ვერ შენიშნა.

— ნიკო სადღაა? — იკითხა მამამ.

— ნიკო დღესაც გაიბუტა... აგერ, კუთხეში ზის.

— ადექი, — უთხრა მამამ ნიკოს.

ნიკო უძრავად იჯდა, იატაკს დასცქეროდა.

— მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს! — სთქვა მამამ და ნიკოს მკაცრად გადახედა.

მერე მაგიდასთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა და ნიკოს ლამბაქი თავისკენ მიიწია.

— ბავშვებო, იცით თუ არა, რომ ბუტიას კერძი ძალიან ტკბილია? — შეეკითხა ის ბავშვებს და ნიკოს ლამბაქიდან დიდი შავი კა-

კლის მურაბა აიღო. აბა შეხედეთ ამ კაკალს! ამისთანა გემრიელი არც ერთი კაკალი არ იქნება... ეს იმიტომ, რომ ნიკომ დაიწუნა. უჰ, უჰ, რა გემრიელია! ამბობდა მომღიმარე მამა.

ნიკო შუბლომღუსელი დასცქეროდა იატაკს. მამამ მეორე კაკალიც შეჭამა, შესამეც... მურაბის ქაშა მოათავა ზეჲ ტკბილი წვენი დააყოლა. იცინოდნენ ბავშვები.

— უჰ, რა ტკბილი იყო, რა კარგი! იცოდეთ, რომ დღეიდან ყველა ბუტიას კერძს ასეთი ბედი მოეღის, სთქვა მამამ, წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ნიკომ ცრემლები გადაყლაპა, დედიკოსკენ მალულად, საყვედურით გაიხედა, მაგრამ დედა ნიკოს ყურადღებას არ აქცევდა, ლურჯ ქილას თავს უკრავდა.

* *

მეორე დღეს, საუზმის შემდეგ დედამ იმ ლურჯ ქილას კვლავ მოხსნა თავი. ბავშვებს მურაბა გაუნაწილა და ოთახიდან გავიდა. ბავშვები უხმოდ შეექცეოდნენ.

ნიკომ პირველი კაკალი აიღო და პირში ჩაიღო.

„მართლაც, ძალზე გემრიელი ყოფილა ბუტიას ხვედრი... აფსუსს, გუშინ რად გავიბუტე“ გაიფიქრა სინანულით.

„აღარ გავიბუტები“ ფიქრობდა ნიკო და მადიანად ახრამუნებდა კაკლის შავ, გემრიელ მურაბას.

გიორგი შაბაგაშვილი

ნახატი გ. ჩიჩინაშვილისა

ყვედგან მშეა

მალაღრა ჩვენი ქერი,
ნათელია ჩვენი ბინა:
ხან სარკმლებთან მშვს შევხარით,
ხან ეზოში ვმღერით ტკბილად.

ყვედგან მშეა, ყვედგან მოქუტუს
ხმასაამო ღხენის წყარო,
ყვავილებად რომ ვიფურჩქნოთ,
ჩიტებივით რომ ვიზაროთ.

ბ. ლად ქვეულ სამშობლოში
ამოვიდგით ადრე ენა
და ფიკიკოკებთ: დღე ნათელი
ოქტომბერმა გავგვითენა.

გიორგი შაბაგაშვილი

კოხტა მანანა

ჩვენი მუხობლის მანანა
ხან კოხტა და ხან არა.
თმას დაივარცხნის, კრივლებს,
თუ სადმე მიეშურება,
სარკის წინ ბრუნავს, ტრივლებს,
გახარებს მისი ვურება.

თუ კი მინ დარჩა, შეხედეთ,
რასა ჰკავს, ვის ჰკავს ნეტავი:
ისეა მურით მოსკრილი,
როგორც დუქელის მქმენდავი.

ცალფეხზე წინდა აცეა,
ცალუ სავსე აქვს ლაქები.
მინ გაბურმეკნილი, დასვრილი,
გარედ კოხტა და ნაქები.

ზირუბანეჟა ჩაის სვამს,
ოთახს ხან დავკის, ხან არა.

გავიგონიათ, გინახვოთ
ასეთი კოხტა მანანა?

ნიკოლოზ ჩაჩავა

ბები ართავს



ბები ართავს,
ჩვენთვის მატყლს რთავს,
ისმის მისი საუბარი,
ბზრ... ტრიალებს ბანზე მარდად
თითისტარი, თითისტარი.
უხედავ, ძაფად რომ იშლება
მატყლის თეორი კულულები:
ხან სათვალეს შეისწორებს,
ხან ჭურჩულებს თვისთვის ბები.
და ჩვენ ვიცით, იგი ართავს
კრელი წინდის მოსაქსოვად,
იცის ბებიმ, დაგვიანდა
და ზამთარი მალე მოვა.
იგი მიტომ ვერ ისვენებს,
ღართვის მალე დაამთავრებს,
პირველ თოვლის შესახვედრად
დაგვიზადებს ხელთათმანებს.
რომ ხელი არ გაგვიციოდეს,
არც ფეხი არ გაგვიციოდეს.
მოქსოვს ლამაზ ხელთათმანებს,
მოქსოვს ჩვენთვის კრელ-კრელ წინდებს.
ბები ართავს,
ჩვენთვის ართავს,
ისმის მისი საუბარი.
სურს რომ ჰქონდეთ შვილიშვილებს
კრელი წინდა, ხელთათმანი.
ბები მატყლს რთავს ბანზე მარდად,
არ ისვენებს თითისტარი.

ჩაპუა მარკინი

გურამის მარცხი

პატარა გურამი სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. უცბად მან თავის მეგობარს
ქული მოსტაცა და შუა ქუჩაში გაიქცა, თან უკან-უკან იყურებოდა და უქულოდ
დარჩენილ ამხანაგს აბრაზებდა:

— შინ უქულოს რომ გნახვენ, ერთი მგზრად გაგლახავენ, შინ უქულოს
რომ გნახვენ, ერთი მგზრად გაგლახავენ!

ამ დროს მოსახვევიდან აეტომანქანა გამოჩნდა, ის იყო გურამი სიცოცხლის
მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, რომ მანქანა სწრაფად შეჩერდა, კაბინიდან მოუვრი
გადმოვიდა, შიშისაგან ფერდაკარგული, აეტოს წინა ბორბლებთან წაქცეული გუ-
რამი ხელში აიყვანა და უთხრა:

— უკან-უკან რომ დადიხარ, კიბო ხომ არ ხარ? გახსოვდეს: ქუჩაში მუდამ
წესიერად უნდა იარო, —სთქვა მან, დაგდებული ქული ბიჭუნას თავზე დაახურა
და მანქანით კვლავ თავის გზას გაუდგა.

კ. გომიკაშვილი

თ ე ღ ო დ ა ფ ა ნ ქ რ ე ბ ი

თეღო და ლეო ძეგები არიან.
ლეო მეორე კლასში გადავიდა.
თეღო ასეა მიიღეს სკოლაში. დე-
დამ ბიჭებს ფერადი ფანქრები მიუ-
ტანს, თითოს ექვსი ცალი, ორი-
ვეს ერთხანირები.

ლეომ ხატვა დაიწყო, ის წინა-
დაც ხშირად ხატავდა, სკოლაში
მიღებამდე უკვარდა ხატვა და სე-
ლი გაწაფული აქვს. აი დღეს ის-
ვი დახატა, ხმდეილ ისევ ჰტავდა.

თეღომაც დაიწყო ხატვა, არაფე-
რი არ გამოუვიდა.

— არ მინდა, — ახლუქუნდა თე-
ღო, — ლეოს ფანქრები უკეთესია
და იმიტომ ხატავს კარვად.

ლეომ ფანქრები გაუცვალა. თე-
ღომ ისეი მინც ვერ დახატა.

— არ მინდა, — კვლავ ატირდა
თეღო, — მომატეუა, ისევ ის ფანქ-
რები წაიღო! — და ლეოს ვეველა
ფანქრები წაართვა.

ლეო კარგი ბავშვი იყო, ჭირ-
ვეულობა არ უუვარდა, ხმა არ
ამოუღია.

სის თეღო, ხატავს, ისე ეწვალე-
ბა, შუბლზე ოფლი ჩამოსდის, ნა-
ხატი ისევ მინც ვერ მიაძვგავსა.

მაშინ ლეომ უთხრა:

— კარვა ხანს ასე რომ იმე-
შავებ, მაშინ იუარვებს შენი ნახატი.

— მართალია, — დაუდასტურა
დედამ, — ხატვის გაკეთებისთვის ძირ-
ტო იარაღი როდი კმარა, მთავარი
მონღომება და შრომაა!

ბ. ივანიშვილი

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(შეადგინა ალ. ფრუიძემ)

1. თეზარას სტუმს ზღვაში ცხოველო, —
გარბიან, და გამოიბიან.
უზარმაზარი შადრევანი
ხედ კეფაზე გამოიბიან.
2. იმ მატარა მთას გვირგვინად
მალალი კოშკი აღვია;
მის ფანჯარაში ხან ბნელა,
ხან კი ლამპარი ანთია.

საოქტომბრო სიმღერა

არ მოვსწრებოვართ ბატონებს,
არ ვიციით მათი მუქარა;
ჩვენ არც მექარხნე გვინახავს,
არც მემამულე უქანარა.

თვითმპყრობელობის ამბავი
ჩვენ როგორ გვემახსოვრება?!
ოქტომბრის მზით გაიფურჩქნა
ჩვენი ახალი ცხოვრება.

ღენინს და სტაღინს დიდება,
ოცნება მათთან გვატარებს,
მათ მოგვცეს ბედნიერება
საბჭოთა ქვეყნის პატარებს.

და როცა ქუჩებს წითელი
დროშები ააფრადებს,
ჩვენს გულწრფელ საღამს ვუგზავნით
დიდი სამშობლოს ბედადებს.

გრიგორ აბაშიძე



გარეკანის პირველ გვერდზე — „ოქტომბრის ზეიმზე“ — ნახატი შ. ცხაღაძისა

„ДИЛА“ — ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ (на грузинском языке)
გამომცემლობა „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28 1 სართ. ფლნ. 3-81-85
გამომცემლობის შეგვ. № 120 სტამბის შეგვ. № 1538 ტირაჟი 7000 ფასი 5 მან. ღ 14106

დ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ფურადი ილუსტრაციები დაბეჭდილია სსსრ კვების მრეწველ. სამინისტროს ლითოგრაფიაში